აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04|90 28.09.2022

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ჩატარდეს აკადემიური საბჭოს წევრების არჩევნები:

1.1 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.2 ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.3 პედაგოგიურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.4 ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე -2 ადგილი

1.5 მედიცინის ფაკულტეტზე -2 ადგილი

1.6 საინჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.7 საინჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.8 აგრარულ ფაკულტეტზე - 2 ადგილი

1.9 საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე - 2 ადგილი

მუხლი 2. არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 26 ოქტომბერს 12 საათიდან 16 საათამდე.

მუხლი 3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2022 წლის 10 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათიდან 16 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

მუხლი 4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

მუხლი 5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

მუხლი 6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

მუხლი 7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტების დეკანებს.

მუხლი 8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

მუხლი 9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით 16 საათამდე.

მუხლი 10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი